გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №145

ქ. თბილისი 01/ოქტომბერი/2018 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2018 წლის 1 ოქტომბერს 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი თამარ თალაკვაძე (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. 51, და მეორეს მხრივ, სს სილქნეტი (ს/კ 204566978), მისამართი : თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95 ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი მალხაზ ჟორჟიკაშვილი , „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N185 განკარგულების შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV– 72400000 – ინტერნეტმომსახურებები (შემდგომში „მომსახურება"), მისაწოდებელი მომსახურების მონაცემები, ტექნიკური აღწერა და მთლიანი ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1–ში, რომელიც წამოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად დათქმულ დროსა და ადგილას, დანართ N1-ში მითითებულ მისამართებზე 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1050 ლარს (ათასორმოცდაათი ლარი);
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების სააბონენტო გადასახადსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი პასუხისმგებელია მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ანაზღაურებაზე.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდული მომსახურების მიწოდების შემდეგ, კალენდარული თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტს ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურას.
4.3 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ანაზღაურება იწარმოებს 4.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 25 რიცხვისა.

5. ხარისხი

5.1მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული მომსახურება უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული მაჩვენებლების.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. გაწეულიმომსახურებისმიღება, მათშორისეტაპობრივის, წარმოებსმიღება-ჩაბარებისაქტისსახით.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) ხელი მოაწეროს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

გ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები" მიმწოდებლის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) ხელშეკრულების 7.2 გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების" დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების" შემსყიდველის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება „ტექნიკური საშუალებების" ღირებულება, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის მიმწოდებლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის (ფასების) შესაბამისად.

ე)"ტექნიკური საშუალებების" ღირებულება მიმწოდებლისთვის გადახდილი უნდა იქნეს 7.2 გ) ქვეპუნქტში მითითებული ვადის გასვლიდანარაუგვიანეს 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულიშესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) მომსახურება უნდა განხორციელდეს უწყვეტად, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არანაკლებ 48 საათისა აღმოფხვრას დაზიანება.

გ)შემსყიდველს მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება" „ხელშეკრულებით" და "რეგლამენტით" განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.

დ) წერილობითგააფრთხილოს „შემსყიდველი" მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „მიმწოდებლის" ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე, ელექტრონული ფოსტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" IT-მენეჯერი ლაშა გრიგოლია, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.3. მომსახურებაში გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის (ნაკლში ან ხარვეზში იგულისხმება ხელშეკრულების მოთხოვნებთან შეუსაბამობა) აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, თუ ამგვარი ნაკლის ან ხარვეზის არსებობა გამოწვეულია სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარეს არსებული დაზიანებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
_____	_____

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო 7 (შვიდი) კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულებისღირებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი– დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი თამარ თალაკვაძე	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი მალხაზ ჟორჟიკაშვილი
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი:TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი 1

N:	რეგიონი/ქალაქი	მისამართი	ტექნიკური დავალება	ერთი თვის მომსახურების ღირებულება (ლარი)	საერთო საორიენტაციო ფასი (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა
1	დმანისი	წმინდა ნინოს ქუჩა 37	• ინტერნეტის მოწოდება უნდა მოხდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან DSL-ის მეშვეობით, • გლობალური ინტერნეტის გარანტირებული სიჩქარე არანაკლები 7 მბ/წმ • ლოკალური ინტერნეტის გარანტირებული სიჩქარე არანაკლებ 7 მბ/წმ • მინიმუმ 2 რეალური IP. • ტექნიკური მხარდაჭერა კვირაში 7 დღე 24 საათი • დაზღვევა 100%	350	1050	სააბონენტო მომსახურება 2018 1 ოქტომბრიდამ 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი– დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი თამარ თალაკვაძე	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი მალხაზ ჟორჟიკაშვილი
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი:TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004

შემსყიდველი

მიმწოდებელი